„სამოქალაქო ჩართულობის ზრდა ბოშების, ავარებისა
და უდიების თემებში“

“საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი”

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი

GPI
Group of Public Initiatives

პრეზენტაციის სტრუქტურა

- პროექტის მიზნები
- განხორციელების არეალი
- მომზადებული პროდუქცია
- აქტივობები
- პრობლემები და გადაჭრის გზები
- საზოგადოების ჩართულობა და მათთან მუშაობა
- შედეგები

ცენტრი
GPI
Group of Public Initiatives

პროექტის მიზნები და ამოცანები:

პროექტის პირდაპირი მიზანი იყო ეთნიკური ბოშების, ავარების და უდიების ინფორმირების და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების ზრდა და მათი მოტივირება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

პროექტის პირდაპირი მიზნები:

ამომრჩევლის, განსაკუთრებით კი, სოფლად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება საარჩევნო სისტემების, პროცედურების, რეგულაციების, საარჩევნო კანონმდებლობის და საკანონმდებლო ცვლილებების, ამომრჩევლების უფლებების, თავისუფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ და მათი მოტივირება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

პროექტის ამოცანები:

პროექტის ამოცანა იყო მოეცვა საქართველოში მცხოვრები ბოშური, ავარული და უდიური თემები (კომპაქტურად დასახლებული) და მოეხდინა არა მარტო მათი ინფორმირება, არამედ ხელი შეეწყო ლიდერების გამოკვეთას და მათ მომზადებას თემში სამოქალაქო განათლების ზრდისა და თემის ინტერესების ადვოკატირებისათვის.

პროექტის განხორციელების არეალი

პროექტმა მოიცვა 6 მუნიციპალიტეტის 11 კომპაქტურად დასახლებულ უბანი: თბილისი (სამგორის რაიონი, ლოტკინის დასახლება); ქუთაისი (ავანგარდის უბანი); ქობულეთი (გილაურის უბანი); გარდაბანი (გამარჯვება); გარდაბანი (გაჩიანი); ყვარელი (სოფლები - თივი, სარუსი, ახალი სოფელი, ზინობიანი).

მომზადებული პროდუქცია

ბანერები საინფორმაციო შეხვედრებისთვის

მომზადებული პროდუქცია

დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა ორენოვანი 5 ათასი საინფორმაციო გზამკვლევი



აქტივობები
"სამოქალაქო საუბრები"

„საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფმა“ გამართა **10** შეხვედრა - „სამოქალაქო საუბრები“ მოსახლეობასთან, **6** მუნიციპალიტეტის **11** კომპაქტურად დასახლებულ უბანში: თბილისში (სამგორის რაიონი, ლოტკინის დასახლება); ქუთაისი (ავანგარდის უბანი); ქობულეთში (გილაურის უბანი); გარდაბანი (გამარჯვება); გარდაბანი (გაჩიანი); ყვარელი (სოფლები - თივი, სარუსი, ახალი სოფელი, ზინობიანი);

აქტივობები
"სამოქალაქო საუბრები"

6 შეხვედრ გაიმართა თბილისში, გარდაბანში, ქობულეთსა და ქუთაისში კომპაქტურად მცხოვრებ ბოშებთან.

2 შეხვედრა გაიმართა ყვარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ზინობიანსა და სოფელ ახალსოფელში მცხოვრებ უდიებთან.

2 შეხვედრა გაიმართა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თივსა და სოფელ სარუსში მცხოვრებ ავარებთან.

ცენტრი

GPI
Group of Public Initiatives

აქტივობები
"სამოქალაქო საუბრები"

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო სულ 600-მდე ადამიანმა, აღსანიშნავია, რომ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმაც, რომლებიც პოტენციური ამომრჩევლები არიან.

ცენტრი

GPI
Group of Public Initiatives

აქტივობები
“სამოქალაქო საუბრები”

აღსანიშნავია, რომ „სამოქალაქო საუბრები“ გაიმართა არაფორმალურ გარემოში. წინასწარი მოკვლევებით დადასტურდა, რომ ბოშების და სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ნაკლები ინტერესი აქვთ ლექცია-სემინარის ტიპის საგანამანათლებლო შეხვედრების. ამიტომაც, „საზოგადოებრივ ინიციტივათა ჯგუფმა“ შეიმუშავა ინფორმირების და მოსახლეობის ჩართულობის აბსოლუტურად განსხვავებული სტრატეგია და ისინი შეხვედრაზე არაფორმალურ გარემოში - მოძრავ კაფეში მიიწვია. აღმოჩნდა, რომ უმცირესობის თემების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არასოდეს ყოფილა მიწვეული კაფეში და ვერც ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ ეს შესაძლებელია მათ საცხოვრებელ პუნქტებში. ამ მეთოდმა ძალზე გაამართლა და განსაკუთრებით, ისეთი მარგინალური ეთნიკური ჯგუფი, როგორიცაა ბოშები, საკმაო ინტერესით და ხალისით მოდიოდნენ შეხვედრებზე.

აქტივობები
"სამოქალაქო საუბრები"

"სამოქალაქო საუბრები" გარდა მოძრავი კაფისა კიდევ უფრო ხალხმრავალი გახადა მოწყობილმა ატრაქციონმა ბავშვებისათვის, სადაც ბავშვებს ზღაპრის გმირები ართობდენ.

აქტივობები ვიქტორინა

„სამოქალაქო საუბრების“ მსვლელობისას გაიმართა ვიქტორინა. ფასილიტატორებმა ბენეფიციარებს დაუსვეს შეკითხვები იმ საკითხების შესახებ, რომელზეც ისაუბრეს და რომელთა პასუხებიც მოცემული იყო იმ საინფორმაციო ფურცელში, რომელიც დამსწრეებს შეხვედრის დაწყებისას დაურიგდათ. გამარჯვებულებს გადაეცათ წინასწარ შერჩეული პრიზები, რომლებიც შერჩეული იქნა მათი აუცილებელი საჭიროებების მიხედვით.

აქტივობები
ტრენინგი თემის ლიდერებისთვის

„სამოქალაქო საუბრების“ დროს მოხდა თემის ლიდერი ახალგაზრდების იდენტიფიცირება, თემის ლიდერი ახალგაზრდებისათვის ჩატარდა სპეციალური ტრენინგი, რომელსაც დაესწრო თემის 15 ახალგაზრდა წარმომადგენელი - უდიები, ავარები და ბოშები. ტრენინგის მიზანი იყო, ახალგაზრდების ცოდნის და უნარების ზრდა, რათა ჩაერთონ თემში არსებული საკითხების და ინიციატივების ლობირებასა და ადვოკატირებაში ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე.

აქტივობები
ტრენინგი თემის ლიდერებისთვის

ტრენინგს უძღვებოდნენ კვალიფიციური ტრენერები, რომელთაც განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართეს იმისათვის, რომ ახალგაზრდებს გაუჩნდეთ მოტივაცია შექმნან საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აქტიურად იმუშაონ საკუთარი თემის წარმომადგენლების სამოქალაქო განათლებისა და ჩართულობის ზრდაზე.

აქტივობები
ინიციატივების ლობირება

„საზოგადოებრივ ინიციტივათა ჯგუფმა“ პროექტის ფარგლებში გამართა ინიციტივების 4 მხარდასაჭერი შეხვედრა ქობულეთში, გარდაბანში, ქუთაისსა და თბილისში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებზე იმსჯელეს თემებში არსებულ პრობლემებზე, გამოიკვეთა საკითხები, რომელთა ადვოკატირებისა და ლობირების მექანიზმებზე ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა კვალიფიციური ტრენინგი მოისმინეს კვალიფიციური ექსპერტებისგან.

აქტივობები
ინიციატივების ლობირება

„საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფის“ წარმომადგენლები გარდაბანის მუნიციპალიტეტის სოფ. გაჩიანში მცხოვრებ ბოშებს დაეხმარნენ გარდაბნის საკრებულოში დაეყენებინათ საკითხი, რომლის დაუყოვნებლივ გადაჭრასაც მოსახლეობა ითხოვს. საუბარია, ბოშათა დასახლებაში, საცხოვრებელი ბანაკებში არსებული ნაგავსაყრელის გაუქმებასა და ტერიტორიის გასუფთავებაზე. ნაგავსაყრელი წლებია არსებობს და არა ერთი ინფექციის წყაროა. ამჟამად, გარდაბნის საკრებულოში მიმდინარეობს აღნიშნული საკითხის ლობირება და მიღებულია პირობა, რომ უახლოეს პერიოდში ტერიტორია გასუფთავდება ნაგვისგან. „საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფის“ წარმომადგენლები ამ საკითხის მონიტორინგს მანამდე განახორციელებენ, სანამ არ მოხდება ტერიტორიის გასუფთავება.

აქტივობები
ინიციატივების ლობირება

პროექტის ფარგლებში ორგანიზაციის წარმომადგენლები დაეხმარნენ ბოშებს, რომელთაც არ ჰქონდათ პირადობის მოწმობები, მათ აღებაში და მანამდე, პირადობის მოწმობების ასაღებად საჭირო დოკუმენტაციის მოპოვებაში. ეს პროცესი ახლაც გრძელდება და ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ შეხვედრებზე მათ კიდევ უფრო მეტად გაუჩნდათ მოტივაცია მოახდინონ მათი იდენტიფიკაია და აიღონ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პროექტის მსვლელობისას ორგანიზაციის წარმომადგენელთა დახმარებით 10-მა ბოშამ გაიარა რეგისტრაცია და მიიღო პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და 5 ბოშა ამჯერად ელოდება პირადობის მოწმობის აღებას.

აქტივობები

პროექტის ფარგლებში მოხდა უმცირესობების ინფორმირება არა მარტო არჩევნების, არამედ, ზოგადად მათი უფლებების, პასუხისმგებლობების, შესაძლებლობების, კანონმდებლობის და სამოქალაქო განათლების სხვა საკითხების შესახებ; განსაკუტრებით ბოშებში სერიოზული პრობლემაა ნაადრევი ქორწინება და ქორწინებაზე იძულება, რაც იწვევს არასრულწლოვანი გოგონების იზოლირებას საზოგადოებრივი ცხოვრებისგან. მათ თითქმის არ აქვთ ინფორმაცია, რომ 2015 წლის პირველი აპრილიდან ქორწინებაზე იძულება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება გახდა. პროექტის მსვლელობისას ეთნიკურ უმცირესობებს მიეწოდათ ინფორმაციები ამ სიახლისა და ზოგადად, ძალადობის ყველა სხვა ფორმის წინააღმდეგ არსებული საკანონმდებლო ნორმებისა და სხვა რეგულაციების შესახებ.

პროექტის მსვლელობისას ახალგაზრდებს გაუჩნდათ მოტივაცია შექმნან საზოგადოებრივი ორგანიზაციები და აქტიურად იმუშაონ საკუთარი თემის წარმომადგენლების სამოქალაქო განათლებისა და ჩართულობის ზრდაზე.

აქტივობები

ქობულეთში მცხოვრები ბოშები შეუერთდნენ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში “ქალთა მოძრაობის“ ორგანიზებით ძალადობის წინააღმდეგ დაგეგმილ აქციაში - „ არ გაათხოვო“

ცენტრი
GPI
Group of Public Initiatives

შედეგები

პროექტის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე მონაწილეებს მიეწოდათ მთავარი ინფორმაცია, რა უნდა იცოდეს ამომრჩეველმა არჩევნების წესების, რეგულაციების, სისტემების შესახებ. დაურიგდათ სპეციალურად მომზადებული ფლაერები ქართულ და რუსულ ენებზე.

შედეგები

ფასილიტატორები მათ უხსნიდნენ მათ არჩევნებში მონაწილეობის, სამოქალაქო აქტივობის და ჩართულობის მნიშვნელობას; მოსახლეობას გააცვნეს საკუთარი უფლებებს, მოვალეობები და პასუხისმგებლობები. თემის წარმომადგენლებს ასევე მიეწოდათ სასარგებლო ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ. ბოშათა თემში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა რეგისტრაციის და პირადობის აღების აუცილებლობასა და იმ სარგებელზე, რომელიც აქვს რეგისტრირებას. დაინტერესებულ პირებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია ყველა იურიდიული და ტექნიკური პროცედურის შესახებ.

შედეგები

პროექტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ამომრჩეველი არ არის მოტივირებული მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მიიჩნევენ, რომ მათ მაგივრად გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ხელისუფლებამ.

ისინი მიიჩნევენ, რომ არჩევნებში მათი მონაწილეობა ბევრს არაფერს ცვლის, დამკვიდრებულია ტენდენცია, რომ აუცილებლად სახელისუფლებო კანდიდატს უნდა დაუჭირონ მხარი. ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის არჩევნები არის მხოლოდ პროცედურა, ნაკლებია მათი ცოდნის და ინფორმირების დონე არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

ეთნიკური უმცირესობები თვლიან, რომ არჩევანს ისინი რეალურად ვერ გააკეთებენ, რადგანაც, ფინანსურად და პოლიტიკურად ძლიერი და გავლენიანი კანდიდატები აიძულებენ ხმის მათ სასარგებლოდ მიცემას. ამიტომაც, თვლიან, რომ არჩევნებში მათი მონაწილეობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, რომ ყოველთვის ხმას აძლევდნენ რწმუნებულების და თემის თავკაცების თხოვნით და მითითებით.

შედეგები

- აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ყველაზე მარგინალური ეთნიკური ჯგუფია ბოშებისა, სადაც არის განათლების ძალზე დაბალი დონე. მათ უდიდეს ნაწილს არასდროს უვლია სკოლაში, სკოლაში სიარულის მაჩვენებელი, უკიდურესად დაბალია და ბოშათა თემის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას წარმოადგენს. უდიდესმა ნაწილმა არ იცის წერა-კითხვა, ცხოვრობენ უმძიმეს სოციალურ პირობებში, შესაბამისად, არაფერი იციან მათი ელემენტარული უფლებების შესახებ. შესაბამისად, ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებში ყველაზე დაბალია სამოქალაქო ჩართულობა.

ბოშებში პრობლემას წარმოადგენს ნაადრევი ქორწინება და ქორწინებაზე იძულება, რაც იწვევს არასრულწლოვანი გოგონების იზოლირებას საზოგადოებრივი ცხოვრებისგან. არც ერთ თემში თითქმის არ აქვთ ინფორმაცია, რომ **2015** წლის პირველი აპრილიდან ქორწინებაზე იძულება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება გახდა. პროექტის მსვლელობისას ეთნიკურ უმცირესობებს მიეწოდათ ინფორმაციები ამ სიახლისა და ზოგადად, ძალადობის ყველა სხვა ფორმის წინააღმდეგ არსებული საკანონმდებლო ნორმებისა და სხვა რეგულაციების შესახებ.

ცენტრი

GPI
Group of Public Initiatives

შედეგები

პროექტის ჯგუფი გარდა სპეციალურად გამართული შეხვედრებისა, საინფორმაციო ხასიათის მინი-შეხვედრებს აწყობდნენ და საარჩევნო პროცედურების შემცველ ინფორმაციული მასალას - ფლაერებს არიგებდნენ სოფლებში ტრადიციულად არსებულ მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში: მაღაზიებში, სადაც მოსახლეობას ხშირად უწევს მისვლა, ქუჩაში მოწყობილ ბაზრობებზე, სატრანსპორტო გაჩერებებზე, თბილისში, იმ ადგილებში, სადაც ბოშები მთელ დღეს ატარებენ, სადაც მოწყალებას ითხოვენ.

შედეგები

- გაიზრდა ბოშური, ავარული და უდიური თემების სულ მცირე **500** წარმომადგენლის სამოქალაქო ჩართულობა და სამოქალაქო განათლება არჩევნების, საარჩევნო პროცედურების, წესების, არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობის, ელექტორატსა მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულებების პრინციპების შესახებ;
- გაიზრდა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო პასუხისმგებლობა და თვითშეგნება;
- გაიზრდა ახალგაზრდების, თემის ლიდერების მოტივაცია გახდნენ თემის ინტერესების ადვოკატები და მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში;
- გაიზრდა სულ მცირე **10** ახალგაზრდის/ თემის ლიდერის ცოდნის დონე ლიდერობის, კომუნიკაციის, საარჩევნო საკითხების, კანონმდებლობის, ინიციატივების დაყენების პროცედურების და ადვოკატირების შესახებ;
- ინფორმირებული და გაცნობიერებული ამომრჩევლის რიცხვის ზრდით გაუმჯობესდება არჩევნების ჩატარების ხარისხი და დემოკრატიულობა.

“საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი”

გმადლობთ